პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 12 ივნისი, 1943 წ. № 126 (6751). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების წლისთავი

ერთი წლის წინათ, 1942 წლის 11 ივნისს, საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნან აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისას. ამ შეთანხმების ხელმოწერა მოასწავებდა „წინგადადგმულ სერიოზულ ნაბიჯს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში“ (სტალინი). 1942 წლის 26 მაისს საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოკავშირეობის ხელშეკრულების დადების შემდეგ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმების ხელმოწერა ნიშნავდა დიდი დემოკრატიული სახელმწიფოების — სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო თანამეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, სახელმწიფოებისა, რომლებიც სათავეში უდგანან თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ანტიჰიტლერულ კოალიციას. საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოკავშირეობის ხელშეკრულებაშიც და საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებაშიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების როგორც საბრძოლო თანამეგობრობა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში, ისე მეგობრული თანამშრომლობაც ომისშემდგომ პერიოდში სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობიანობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

გამოვიდა რა, ლონდონსა და ვაშინგტონში გამგზავრებიდან დაბრუნების შემდეგ, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 1942 წლის 18 ივნისს მოხსენებით საბჭოთა კავშირ-ინგლისის მოკავშირეობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების მნიშვნელობა მდგომარეობს „იმაში, რომ იგი არამარტო გამომდინარეობს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ახლახდელ ომში საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარებული საბრძოლო თანამშრომლობის ფაქტის აღიარებიდან, არამედ აყალებს აგრეთვე ორივე ქვეყნის მოქმედების შეთანხმებულობასაც ომისშემდგომ პერიოდში. შეთანხმება ნიშნავს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობას მშვიდობიანობის სიმტკიცის ინტერესებისათვის საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხში. ამიტომ ვაშინგტონის შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირისათვის, ისე სხვა ხალხებისთვისაც“.

სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების თავისუფლებისმოყვარე ხალხთა მეგობრული ურთიერთობა, ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ კეთილშობილური განმათავისუფლებელი ომის ცეცხლში გამოწრთობილი, მკვიდრ საფუძველს ეყრდნობა. ეს ურთიერთობა შედუღებულია მტკიცე გადაწყვეტილებით — აწარმოონ ომი ჰიტლერული არმიების სრულ განადგურებამდე და ჰიტლერული გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციამდე.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეგობრობა შეესაბამება ისტორიულ ტრადიციებს ორი დიდი ხალხისას, რომლებიც ერმანეთისადმი ურთიერთი სიმპატიითა და პატივისცემით არიან გამსჭვალულნი. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ამერიკულ საქმიანობას, რაც, ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, „ის დაუცხრომელი ძალაა, რომელმაც არ იცის თუ რა არის დაბრკოლება, და არა სცნობს მას, რომელიც თავისი საქმიანი დაბეჯითებით სპობს ყველა და ყოველგვარ დაბრკოლებას, რომელსაც არ შეუძლია ბოლომდე არ მიიყვანოს ერთხელვე დაწყებული საქმე...“. ამერიკული საქმიანობის სწორედ ეს თვისებები მაღალ პატრიოტიზმთან შეხამებით, რომლის ნიმუშებსაც საბჭოთა ხალხი და მისი წითელი არმია ყოველდღიურად უჩვენებენ მთელ მსოფლიოს, ყველაზე უფრო აუცილებელია ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ახლანდელ ომში თავისუფლებისმოყვარე ხალხებისა, რომლებსაც სათავეში უდგანან სსრ კავშირი, ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები.

ამერიკელ ხალხს, ისევე როგორც ყველა სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხს, არ შეიძლება არ ესმოდეს, თუ რა სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს მისი თავისუფლებისა და ცხოვრებისათვის პირსისხლიანი ჰიტლერული ფაშიზმი, რომელიც ცდილობს დაამყაროს თავისი ბატონობა მთელ მსოფლიოში. სამხედრო ტექნიკის თანამედროვე განვითარების პირობებში ისეთი ბუნებრივი დაბრკოლებაც კი, როგორიც არის ატლანტის ოკეანე, არ შეიძლება იყოს გადაულახავი ზღუდე თავზეხელაღებული ავანტიურისტებისათვის, რომლებიც არავითარ საშინელ ბოროტმოქმედებას არ ერიდებიან. და თუ ომის ჭექა-ქუხილი ამჟამად დაშორებულია ამერიკის ტერიტორიას, ეს ხდება მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ჰიტლერულმა სამხედრო მანქანამ საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ვერ შესძლო მიეღწია წარმატებისათვის ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო შემდეგ შეხვდა გმირულ წინააღმდეგობას ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში, წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის მხრივ. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ბრძოლებში არა მარტო გაჭარწყლებულია ყბადაღებული მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ, არა მარტო ჩაშლილია ჰიტლერის პროგრამა „ელვისებური ომისა“, არამედ შექმნილია საჭირო წანამძღვარებიც ჰიტლერული გერმანიისა და მისი ვასალების შეიარაღებულ ძალთა სრული განადგურებისათვის.

ორ წელს გრძელდება საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა გერმანელი ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ. ორი წელია საბჭოთა ხალხსა და მის წითელ არმიას თავიანთ მხრებზე გადააქვთ მთელი ძირითადი სიმძიმე ამ ომისა, რომელიც ისტორიაში უმაგალითოა თავისი გააფთრებული ხასიათითა და მასშტაბით. ამ ორი წლის განმავლობაში ბრიტანეთის იმპერიამ გააძლიერა თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, შეჭქმნა მტრის რისხვად სახმელეთო არმია, მძლავრი საჰაერო ძალები. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეჰქმნეს მრავალმილიონიანი არმია, რომელსაც აქვს ყველა სახეობის იარაღი, რომელიც აღჭურვილია ყველა სახეობის თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით. უკანასკნელი წლის განმავლობაში ამერიკელთა ჯარების მნიშვნელოვანმა ნაწილმა გადმოსცურა ატლანტის ოკეანე და იმყოფება საწყის პოზიციებზე ჰიტლერის „ევროპის სიმაგრის“ საიერიშოდ. ამერიკელმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების მხარდამხარ წარმატებით ჩაატარეს კამპანია ჩრდილოეთ აფრიკაში, რაც იტალიელ-გერმანელთა ჯარების სრული განადგურებითა და მოსპობით დამთავრდა. ამერიკის ავიაცია ინგლისის საჰაერო ძალებთან ერთად სერიოზულად ურტყამდა და ურტყამს გერმანიისა და იტალიის სამხედრო-სამრეწველო ობიექტებს. ამერიკელთა ჯარებმა მიიღეს საბრძოლო ნათლობა და უკვე განვლეს იმ ბრძოლებისათვის თავისი მზადების პერიოდი, რომლებშიც ხერხემალი უნდა გადაუტყდეს გერმანელ ფაშისტ მხეცს.

ამერიკელებმა გამოიყენეს დრო, რაც მათს განკარგულებაში აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის თავდადებული წინააღმდეგობის მეოხებით, იმისათვის, რომ გაეჩაღებინათ ყველა სახეობის საჭურვლისა და საომარი მასალის წარმოება ისტორიაში ჯერ კიდევ უმაგალითო ტემპებით. მნიშვნელოვნად გადიდდა საბრძოლო ტექნიკის წარმოება ინგლისსა და მთელ ბრიტანეთის იმპერიაში. თავის მხრივ საბჭოთა კავშირმა წარმატებით გაართვა თავი სამხედრო წარმოების განვითარების ამოცანას ვერაგ და ცბიერ მტერთან ომის წარმოუდგენლად მძიმე პირობებში. საბჭოთა ხალხმა უდიდესი თავდადება, ორგანიზებულობა და უნარი გამოიჩინა, სამხედრო მრეწველობის ბაზა დაიტანა აღმოსავლეთში და საჭურვლისა და საომარი მასალის წარმოება განვითარა ისეთი მასშტაბებით, რომლებიც შეესაბამება წითელი არმიის საომარი მოქმედების გიგანტურ მასშტაბებს. რამდენი მილიონი უცხოელი მონაც უნდა მირეკოს ჰიტლერმა გერმანიის სამხედრო ქარხნებში, რა სასტიკი ზომებითაც უნდა აიძულოს ევროპის ოკუპირებული ქვეყნების მრეწველობა იმუშაოს გერმანიის სამხედრო მანქანისათვის, სამხედრო წარმოების დარგში გერმანიას არ შეუძლია მოიგოს შეჯიბრება ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებთან.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების საფუძველზე და სესხად ან იჯარით საჭურვლის გადაცემის ცნობილი კანონის განხორციელების ფარგლებში შეერთებული შტატები სამხედრო-ეკონომიურ დახმარებას უწევენ საბჭოთა კავშირს ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა ხალხმა კარგად იცის საჭურვლის, სურსათისა და ზოგიერთი სხვა მასალის იმ მიწოდების შესახებ, რაც სსრ კავშირში ატლანტის ოკეანის იქით მდებარე დიდი რესპუბლიკიდან მოდის. საბჭოთა ხალხმა არა მარტო იცის ამ მიწოდებათა შესახებ, არამედ იცის იმ დახმარების მაღალი დაფასებაც, რასაც ამერიკელ ხალხისაგან იღებს, როგორც საერთო მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში საბრძოლო თანამშრომლობის ერთ-ერთ გამოხატულებას.

მაგრამ ერთი წუფითაც კი არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ თუ მშვიდობიან დროსაც ტექნიკა უადამიანებოდ მკვდარია, ეს გაცილებით კიდევ უფრო მართალია ომის პირობებში. ომის ბედს სწყვეტენ ადამიანები, რომელთაც უნარი აქვთ გამოიყენონ საომარი ტექნიკა, რომელნიც დაეუფლნენ მტერთან ბრძოლის ხელოვნებას, რომელნიც მამაცურად და გაბედულად უსწორებენ თვალს საფრთხეს, სიკვდილს. ასეთი თვისებებით უაღრესად არის აღჭურვილი საბჭოთა არმია, გამობრძმედილი სასტიკსა და მძიმე ბრძოლებში ამ ორი წლის მანძილზე. ასეთ მაღალ სამხედრო თვისებათა ნიმუშები გვიჩვენეს ჩვენი მოკავშირეების არმიებმაც, რომლებმაც გაანადგურეს იტალიელ-გერმანელთა ჯარები ჩრდილოეთ აფრიკაში და თავიანთი გამარჯვებით მოამზადეს პირობები შემდგომი წარმატებითი დარტყმებისათვის ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ.

ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის მსვლელობაში მნიშვნელოვნად განმტკიცდა ერთიანობა და ურთიერთგაგება ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილეთა შორის. ამ ერთიანობას საფუძვლად უდევს იმის შეგნება, რომ საჭიროა თავისუფლებისმოყვარე ხალხების საერთო ძალების დაძაბვა ჰიტლერულ სამხედრო მანქანასთან საბრძოლველად, რომელიც უკვე შერყეულია საფუძვლამდე, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი და საშიშია. ახლა ჰიტლერი ცდილობს რადაც უნდა დაუჯდეს მოიგოს დრო ახალი სასოწარკვეთილი სამხედრო და დიპლომატიური ავანტიურების მოსამზადებლად. ჩავშალოთ ჰიტლერის ეს განზრახვა, არ მივცეთ მას საშუალება მოიშუშოს ის ჭრილობები, რომლებიც მას მიაყენა მოკავშირეთა პირველმა საერთო დარტყმამ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, მოვაწყოთ მძლავრი საერთო შტურმი საბჭოთა კავშირის, ამერიკისა და ბრიტანეთის შეიარაღებული ძალებისა გერმანელი ფაშისტი დამშონებლების წინააღმდეგ, რათა ვიხსნათ დაჩაგრული ხალხები ფაშისტური ჩაგვრისაგან, — ნიშნავს მოვაახლოოთ გამარჯვების სანატრელი დღე, დღე მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დაბრუნებისა მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

„პრავდის“ მოწინავე, 11/VI.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 ივნისის დილის ცნობა

10 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ნ ნაწილის მზვერავი რაზმი ღამით თავს დაესხა მტრის განლაგებას. ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 70 ჰიტლერელი, ააფეთქეს ორი ძელმიწური საცეცხლე წერტი და ხუთი ბლინდაჟი. მზვერავებმა ხელთ იგდეს 3 ტყვიამფრქვევი და ტყვეები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში მტრის ერთი ასეული ქვეითი ჯარი და რამდენიმე ტანკი ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. ჩვენი არტილერიისა და ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით ჰიტლერელები გაფანტულ და ნაწილობრივ მოსპობილ იქნენ. დაზიანებულია გერმანელთა ერთი ტანკი.

საბჭოთა ბომბდამშენები ღამით ურტყამდნენ მტრის რკინიგზის ეშელონებსა და საწყობებს. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა და ძლიერი აფეთქებები მოხდა.

* * *

სევსკის რაიონში ნ ნაწილის არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს რკინიგზის სადგურზე და ააფეთქეს გერმანელთა ეშელონი სომარ მასალიანად. სხვა უბანზე არტილერიის ცეცხლით გაფანტულია მტრის ავტოკოლონა. დამტვრეულია 6 ავტომანქანა ტვრთიანად.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ნ ნაწილის სნაიპერებმა ერთი თვის განმავლობაში გასწყვიტეს 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წითელარმიელმა ამხ. სუხენკომ და სერჟანტმა ამხ. იუჟანინმა მოსპეს 45 ჰიტლერელი თითოეულმა, სნაიპერმა ამხ. ჩინგაევმა—35, სნაიპერმა ამხ. ბენშიკოვმა—33 გერმანელი გაჟლიტა.

* * *

ეიტომირელ პარტიზანთა რაზმი ბრძოლას ეწეოდა გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციის წინააღმდეგ. პარტიზანებმა დახოცეს მტრის 48 ჯარისკაცი, მოსპეს ჯავშნიანი მანქანა, 2 დაზგის ტყვიამფრქვევი და სატვირთო ავტომანქანა მისაბმელიანად. სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ჩასძირა გერმანელთა ორი მოტორიანი ნავი და მოსპო 12 ჰიტლერელი.

* * *

მოკლულ გერმანელ ობერ-ეფრეიტორს უპოვნეს ოსნაბრიუკის სამსხვერპლო და მანქანათმშენებელი ქარხნის პატრონის კარლ ვაიმანის წერილი. წერილში ნათქვამია: „...ოსნაბრიუკზე მოხდა მეტად ძლიერი საჰაერო თავდასხმა. ფუგასურმა ბომბმა მთლად დაანგრია ჩვენი სახლი. მალე ოსნაბრიუკმა განიცადა კიდევ ერთი, მაგრამ უკვე უფრო ინტენსიური თავდასხმა. ამჯერად ქარხანამ დაჯარგა სამანქანო განყოფილება, სამოდელო, სამსხმელო საამქროები, საწყობი კანტორასა და სახელოსნოს შუა და კიდევ ორი საწყობი. ამის შემდეგ ოსნაბრიუკმა ბევრჯერ განიცადა საჰაერო თავდასხმა, თითქმის ყოველთვის ფირმას დიდი ზარალი მოსდიოდა. მოსახლეობა ძალიან აღელვებულია ამ დაბომბვით“.

* * *

ნორვეგიელი პატრიოტები განაგრძობენ გმირულ ბრძოლას გერმანელი დამშონებლების წინააღმდეგ. სტავანგერის მახლობლად შეიარაღებულ ნორვეგიელთა ჯგუფმა ააფეთქა რადიოსადგური. სადგურის გერმანელი მცველები და მომსახურე პერსონალი 18 კაცის რაოდენობით მოსპობილია. ოსლოს რაიონში პატრიოტებმა მოაწყეს მარცხი რკინიგზის ეშელონსა, რომელშიც გერმანელთა ჯარები იყვნენ. მოკლული და დაჭრილია მრავალი ჰიტლერელი. ბერგენის მიდამოებში დასწეს გერმანელთა სამხედრო საწყობები.

11 ივნისის საღამოს ცნობა

11 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ავიაციამ ფინეთის უყურეში ჩასძირა მოწინააღმდეგის საგუშაგო კატერი და ტრანსპორტი.

* * *

10 ივნისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს მოწინააღმდეგის 60-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს მთელი რიგი საწყობი საომარი მასალისა და საწვავისა, დაამსხვრიეს რკინიგზის 2 ეშელონი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გააწყვეტეს 2 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა გასწყვიტეს ერთ ასეულზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი, გაანადგურეს 12 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, ჩააბუჯეს მტრის რამდენიმე საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ცალკეულ უბნებზე ჰიტლერელები ცდილობდნენ დაზვერვა მოეწყინთ ბრძოლით, მაგრამ უკუგდებულ იქნენ საწყის მდგომარეობაში.

* * *

კალინინის ფრონტზე ივ ნაწილის ქვეგანაყოფის ტანკისტებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ჩუპროვი, დაზვერვის მიზნით იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე. ტანკისტებმა მოსპეს 13 ტყვიამფრქვევი, ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი, გაანადგურეს 10 ძელმიწური საცეცხლე წერტი და გაჟლიტეს 150-მდე ჰიტლერელი. ნ ნაწილის მებრძოლთა ჯგუფმა ალმოჩინა და მთლიანად მოსპო მტრის ჩასაფრებული რაზმი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ერთ უბანზე გერმანელები კვლავ ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ხელსაყრელი პოზიციები, მაგრამ ვერაფრითაო წარმატებას ვერ მიაღწიეს. ჩვენმა მებრძოლებმა ორ დღეში გაჟლიტეს 400-მდე ჰიტლერელი, დასწეს გერმანელთა 8 და დაზიანეს 6 ტანკი, მოსპეს მტრის საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეები. სხვა უბნებზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია ერთ ბატალიონამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი. განადგურებულია მოწინააღმდეგის აღალი და აფეთქებულია საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენმა დაზვერვამ აღმოაჩინა მოწინააღმდეგის თავმოყრილი ტანკები და ქვეითი ჯარი. საბჭოთა ავიაციამ მბომბავსაიერიშო თავდასხმა მოახდინა გერმანელთა ამ თავმოყრილ ტანკებსა და ქვეით ჯარზე. დაბომბვითა, ზარბაზნისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მძიმე ზარალი მივაყენეთ მტერს.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გასწყვიტეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაანგრიეს მოწინააღმდეგის 17 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 5 სათვალთვალო პუნქტი და 8 საცეცხლე წერტი.

ლენინგრადის მისადგომებზე საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა 8 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ჩერნიგოველ პარტიზანთა რაზმი 3 ივნისს უეცრად დაესხა თავს დიდ დასახლებულ პუნქტში განლაგებულ მტრის გარნიზონს. პარტიზანებმა ყაზარმაში რამდენიმე ათეული გრანატი შეაგდეს და მრავალი ჰიტლერელი გაჟლიტეს. რამდენიმე დღის შემდეგ პარტიზანები თავს დაესხნენ რკინიგზის სადგურს. ნაწილი გერმანელებისა, რომელმაც წინააღმდეგობა გასწია, მოსპობილ იქნა. პარტიზანებმა დასწეს საწვავის საწყობი, რამდენიმე სამტონიანი ავტომანქანა, ააფეთქეს გზები, დაანგრიეს წყალსატუმბავი და ტელეფონ-ტელეგრაფის სადგური.

* * *

გერმანელთა მე-3 საველე საჯარიმო ბატალიონის ტყვე ჯარისკაცმა ერიხ ანდრესმა განაცხადა: „საჯარიმო ბატალიონს მეტად ჭრელი შემადგენლობა ჰყავს. აქ სასჯელს იხდიან ჯარისკაცები, მეზღვაურები, მფრინავები, აგრეთვე სხვადასხვა გვარეობის ჯარის ოფიცრები. მაგალითად, მე-2 ასეულში გერმანელი პოლკოვნიკი ლუნდი მსახურობს. ჯარისკაცები უკიდურეს ზომამდე არიან დაუძლურებული. ნაწილის განლაგებიდან თვითნებური წასვლა სიკვდილით ისჯება. ამ უკანასკნელ 4 თვეში სიკვდილით დასაჯეს 46 ჯარისკაცი. მსჯავრდადებულთ ხვრეტს 6 კაცისაგან შემდგარი სპეციალური გუნდი, რომელსაც უნტერ-ოფიცერი ვილლი ჰარცი მეთაურობს“.

* * *

იუგოსლავიელი პარტიზანები იგერიებენ გერმანელ და იტალიელ ოკუპანტთა მრავალ იერიშს და დიდ ზარალს აყენებენ მათ. გორანსკი ვოლნიკტიენტიშტის უბანზე პარტიზანებმა სასტიკ ბრძოლებში უკან დაახვევინეს გერმანელებს. ვუჩეკოს მთის კალთებზე პატრიოტებმა გაჟლიტეს გერმანელთა კოლონა. სლოვენიაში პარტიზანებმა გაანადგურეს იტალიელთა რაზმი. მოკლული და დაჭრილია 29 იტალიელი ჯარისკაცი. ბელაია კრაინაში პატრიოტებმა ლიანდაგიდან დადაგდეს იტალიელთა ჯარის ეშელონი. მარცხის დროს 50-ზე მეტი იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა.

ბაჭონ ფრანკლინ დ. რუზველტს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

ვაშინგტონი

აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისათვის გამოსაყენებელი პრინციპების შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის შეთანხმების ხელმოწერის წლისთავის გამო, გთხოვთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მიიღოთ ჩემი გულწრფელი სალამი.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დადებულ იქნა ეს ღირსშესანიშნავი შეთანხმება, რომელიც გზას უხსნის ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომს განმტკიცებას, ჩვენი ქვეყნებისა, რომელნიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევიან საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ. ამ წლის განმავლობაში შეთანხმების საფუძველზე განმტკიცდა და გაძლიერდა მეგობრული კავშირი და საბრძოლო თანამეგობრობა ჩვენი ქვეყნების ხალხებისა. ეს კავშირი და საბრძოლო თანამეგობრობა კვლავაც განმტკიცდებიან, მე ამაში ღრმად დარწმუნებული ვარ, უზრუნველყოფენ ჩვენი ერთობლივი ბრძოლის შემდგომს წარმატებებს და სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საბოლოო გამარჯვებას ჩვენს საერთო მტერზე, აგრეთვე ომისშემდგომს პერიოდში სხვა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების ხალხებთან მეგიდრო თანამშრომლობას.

ფ. კალინინი

ბაჭონ კორდელ ჰელს

სახელმწიფო მდივანს

ვაშინგტონი

აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისათვის გამოსაყენებელი პრინციპების შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებს შორის შეთანხმების ხელმოწერის პირველი წლისთავის დღეს, გთხოვთ თქვენ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და ამერიკის ხალხს საბჭოთა მთავრობისაგან, საბჭოთა კავშირის ხალხებისაგან და პირადად ჩემგან გულითად სალამს და საუკეთესო სურვილებს.

უკვე 1942 წლის 11 ივნისს შეთანხმების დადებისას ცხადი იყო მისი უდიდესი მნიშვნელობა როგორც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, ისე ომის ძლევამოსილი დამთავრების შემდგომს პერიოდში ჩვენი ქვეყნების ურთიერთგაგების განმტკიცებისა და შეთანხმებული მოქმედებისათვის.

გასულმა წელმა დაამტკიცა, რომ ეს შეთანხმება ერთ-ერთი ქვაკუთხედია, რასაც ეყრდნობა მთელი ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის საბრძოლო ძლიერება.

საზეიმოდ, საერთო მტრის წინააღმდეგ ჩვენი ერთობლივი მძლავრი დარტყმებისაგან მოელიან საბოლოო გამარჯვებას და ხსნას ხალხები, რომელთაც ფაშისტთა თავდასხმა განიცადეს და მისი მუქარის ქვეშ იმყოფებიან. ამ ერთობლივ ბრძოლებში და ჩვენი საერთო გამარჯვების საფუძველზე გაიზრდება საბჭოთა კავშირის, შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის თანამშრომლობა ომისშემდგომ პერიოდშიც ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ინტერესებისათვის.

ვ. მოლოტოვი

საუზმე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების წლისთავის აღსანიშნავად

აგრესიის წინააღმდეგ ომის წარმოებაში ურთიერთდახმარებისათვის გამოყენებული პრინციპების შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შორის დადებული შეთანხმების წლისთავის აღსანიშნავად საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა 11 ივნისს გამართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ ა. შ. შტატების ელჩი ბ-ნი ვ. გ. სტენდლი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი, აგრეთვე ამერიკის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა და ამერიკისა და ბრიტანეთის სამხედრო მისიების მეთაურები. საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ ამხანაგები ა. ი. მიკოიანი, ა. ი. ვიშინსკი, ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი, ვ. ვ. დეკანოზოვი, ა. ე. კორნეიჩუკი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ჩვენი ავიაციის მძლავრი დარტყმა მოწინააღმდეგის აეროდრომებზე

10 ივნისს საღამოს და ღამით ჩვენი საჰაერო ძალების დიდმა შენაერთებმა მძლავრად დაარტყეს მოწინააღმდეგის აეროდრომებს მტრის აეროდრომებზე თავდასხმებში 700-ზე მეტი ჩვენი თვითმფრინავი მონაწილეობდა. მოწინააღმდეგე აეროდრომებს იცავდა ჰაერში მოპატრულე გამანადგურებელთა მნიშვნელოვანი ძალებით. ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა ბრძოლა გაუმართეს გერმანელთა ავიაგამანადგურებლებს და ამით ჩვენს ბომბდამშენებს საშუალება მისცეს ეფექტიანად დაეტაბათ მოწინააღმდეგის თვითმფრინავები აეროდრომებზე.

დაბომბვის შედეგად მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა სულ ცოტა 150 თვითმფრინავი. გარდა ამისა, აეროდრომების რაიონში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 10-ზე მეტი თვითმფრინავი. ჩვენმა მფრინავებმა შეამჩნიეს მრავალი ხანძარი მტრის თვითმფრინავების დგომის ადგილებში და ანგართა რაიონში. ბევრი დიდი ხანძარი და აფეთქება მოხდა მტრის აეროდრომების მახლობლად განლაგებულ საწვავისა და საომარი მასალის საწყობებში. საბრძოლო დავალებიდან არ დაბრუნებულა ჩვენი 19 თვითმფრინავი.

სამხედრო სესხზე ხელმოწერა უდიდესი წარმატებით გრძელდება

საქართველოს მშრომელებმა ახალ სესხზე ხელი მოაწერეს 447.179.000 მანეთის რაოდენობით

საქართველოს სს რესპუბლიკაში მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერა დიდი წარმატებით გრძელდება. საქ. სახშემნახველო-სალაროებისა და სოფკრედიტის სამმართველოს არასრული ცნობებით, რესპუბლიკაში 11 ივნისს საღამოს 8 საათისათვის მუშა-მოსამსახურეებს სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 195.906.000 მანეთის რაოდენობით, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს—201.543.000 მანეთზე, კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს—49.730.000 მანეთზე. სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 447.179.000 მანეთს, რაც 133.179.000 მანეთით აღემატება სარეალიზაციოდ ნავარაუდევ თანხას. სესხზე ხელმოწერის საერთო თანხიდან ნაღდად შეტანილი აქვთ: კოლმეურნეებს—154.313.000 მანეთი, კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს——29.006.000 მანეთი.

11 ივნისის საღამოს 8 საათისათვის ქალაქ თბილისში სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა შეადგენდა 86.017.000 მანეთს; აქედან ხელმოწერილია: 26 კომინტერნის რაიონში—17.396.000 მანეთზე, ბერიას რაიონში—16.264.000 მანეთზე, სტალინის რაიონში—15.523.000 მანეთზე, ლენინის რაიონში—12.938.000 მანეთზე, ორჯონიკიძის რაიონში—9.434.000 მანეთზე, კიროვის რაიონში—7.885.000 მანეთზე, მოლოტოვის რაიონში—6.577.000 მანეთზე.

აღნიშნული დროისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა შეადგენდა 36.153.000 მანეთს (აქედან ნაღდად შეტანილია 13.758.000 მანეთი), აბერის ასს რესპუბლიკაში — 24.393.000 მანეთს (ნაღდად შეტანილია 7.423.000 მანეთი), სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 16.424.000 მანეთს (ნაღდად შეტანილია 7.547.000 მანეთი), ქალაქ ქუთაისში — 8.964.000 მანეთს.

ბორის რაიონში სესხზე ხელი მოწერილია სულ 18.177.000 მანეთზე (აქედან ნაღდად შეტანილია 12.983.000 მანეთი). საერთო თანხიდან კოლმეურნეებს ხელი მოწერილი აქვთ 15.300.000 მანეთზე, აქედან მათ ნაღდად შეიტანეს 12.071.000 მანეთი; წითელ წყაროს რაიონში სესხზე ხელმოწერა შეადგენს 11.096.000 მანეთს (ნაღდად შეტანილია 5.070.000 მანეთი). კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 8.061.000 მანეთზე და ამ თანხიდან ნაღ

მივცეთ ჩვენს ქვეყანას და ფრონტს მეცხოველეობის მეტი პროდუქტები

ხ.ტალინირი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა, მიუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა, წელს ლაგოდეხელ კოლმეურნეთა მოწოდების საფუძველზე ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო განამტკიცეს შარშანდელი მიღწევები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს საქონლის მოვლა, შენახვა და კვება. 1942 წელს სამხრეთ-ოსეთის ოლქის მეცხოველეობის მუშაკებმა კარგ შედეგს მიაღწიეს საქონლის სულადობის გადიდებისა და ფერმების დაკომპლექტების საქმეში.

მეცხოველეობის მუშაკები ენერგიულად იბრძვიან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საქონლის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის დადგენილების განხორციელებისათვის. კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის განვითარების 1943 წლის გეგმა სამხრეთ-ოსეთის საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილების ცნობებით, 1 მაისისათვის შესრულებული იყო 102,2 პროცენტით, ცხვრისა და თხის სულადობისა—101 პროცენტით, ღორისა—119,8 პროცენტით, ხოლო ფრინველისა — 82,3 პროცენტით. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის განვითარების 1943 წლის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს სტალინირის, ჯავისა და ლენინგორის რაიონებმა, ზნაურის რაიონში კი დავალება შესრულებულია 98,1 პროცენტით.

ცხვრისა და თხის სულადობის ზრდის გეგმები გადაჭარბებით აქვთ შესრულებული ოლქის ოთხივე რაიონის კოლმეურნეობებს, მეღორეობის განვითარების გეგმა კი ზნაურის რაიონში შესრულდა 124,2 პროცენტით, ჯავის რაიონში—121,4 პროცენტით, სტალინირის რაიონში—118,4 პროცენტით.

ზნაურის რაიონის სოფ. ავნევის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. საველ კაბისოვი) ექვსი სხვადასხვა სახის ფერმაა მოწყობილი. აქ სეროიზულ ყურადღებას აქცევენ ცხენთა სულადობის გადიდებას, მათი მოვლისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარებას. მეცხოველეობის ფერმების მუშაკები დაუფალავად შრომობენ იმისათვის, რომ ჩვენს გმირ წითელ არმიას მისცენ ამტანი და ჯანსაღი ცხენები. კოლმეურნეობაში ცხენის სულადობის გეგმა სამმაგად არის შესრულებული. ფერმებში გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი ჰყავთ აგრეთვე ძროხები, ცხვრები, თხები. ღორები, ქათმები და ფუტკარი. სტალინირის რაიონის სოფ. საბაწმინდის კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე ამხ. ვ. გაბარაევი) ნაცვლად 7 ძროხისა ჰყავთ 8 ძროხა. 90 ცხვარი და თხა (გეგმით კი უნდა ჰყოლოდათ 70 სული თხა და ცხვარი), 80 ფრთა ქათამი (გეგმა კი ითვალისწინებდა 50-ს). ამ კოლმეურნეობაში წელს მიღებული ყველა ბატკანი, თიკანი და ხბო მთლიანად არის შენარჩუნებული. ფერმის გამგე ნ. ხიდაშელის უნარიანი მუშაობის მეოხებით, როგორც მოზარდეული, ისე მოზრდილი საქონელი კარგად არის მოვლილი.

სათანადო ყურადღება ექცევა ოლქის კოლმეურნეობებში ნამატის შენარჩუნებას. ამით აიხსნება, რომ წელს მიღებული ბატკნიდან და თიკნიდან შენარჩუნებულია 97,8 პროცენტი, აქედან ლენინგორის რაიონში — 99,3 პროცენტი. კოლმეურნეობებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს აგრეთვე ხბოებისა და ზაქების შენარჩუნების საქმეში. მაგალითად, ზნაურის რაიონში ნამატი შენარჩუნებულია 98,6 პროცენტით.

მიუხედავად ამისა, ცალკეულ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ვხედავთ შეუწყნარებელ უდარდელ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მეცხოველეობისადმი. მაგალითად, წელს სტალინირის რაიონში დაიხოცა მოგებული ღოჭების 19,7 პროცენტი. ამავე რაიონის სოფ. ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში საქონლის მომვლელების ბ. ტარიელაშვილის და ლ. ქრისტესიაშვილის უდარდელობის შედეგად წელს მოკვდა 4 თიხლი და 230 ბატკნიდან 12 ბატკანი. მეფრინველეობის ფერმაში (გამგე ა. ბოცვაძე) 62 ქათმიდან 10 დაჭკვეს, ხოლო 20 დაიხოცა. მეფრინველეობის ფართოდ განვითარებისათვის აქ ყველა პირობა არსებობს, მაგრამ ეს საშუალებანი მთლიანად გამოყენებული არ არის, როგორც სჩანს. ეს საკითხი ნაკლებად აინტერესებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ი. ქრისტესიაშვილს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში არასაკმაო ყურადღებას აქცევენ მუშა-საქონლის კვებას და შენახვას. სტალინირის რაიონის სოფ. დგვრისის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ი. ბურნაძე) მთელი მუშა-საქონელი (24 სული) ძლიერ დასუსტებულია, რადგან საქონელს წესიერად არ ჰკვებავენ. ჩამორჩა სარემონტო სულადობის (სანარეკ ხბოებისა და მოზვრების) და მუშასაქონლის შეძენა. ასევე ჩამორჩენილია ფერმების დასაკომპლექტებლად მსხვილფეხა რქიანი საქონლის მოზარდეულის კონტრაქტაციისა და შესყიდვის გეგმის შესრულება (3.600 სულიდან 1 მაისისათვის ფერმების დასაკომპლექტებლად და მუშასაქონლის შესაკვებად დაკონტრაქტებული და შეძენილი იყო 73 სული).

კიდევ უფრო განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი, გამოვასწოროთ ცალკეულ კოლმეურნეობებში არსებული ნაკლოვანებანი და უზრუნველვყოთ მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულება. მივცეთ ჩვენს ქვეყანას და ფრონტს მეცხოველეობის სულ უფრო და უფრო მეტი პროდუქცია—ასეთია სამბრძოლო დავალება.

თ. კუნჭულია
ტრ. თოდრაძე

მოსავლის აღებისათვის მზად არიან

ქარელი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ქარელის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი ვადაზე 20 დღით ადრე დაამთავრა. კომბაინები და სალეწი მანქანები ყოველმხრივ მზად არიან მოსავლის აღების დაწყებისთანავე გაიყვანენ სამუშაოდ.

მტს-ი უზრუნველყოფილია კომბაინერთა კვალიფიციური კადრებით. აგრეთვე მომზადებულია კომბაინერის 3 თანაშემწე; ისინი მონაწილეობას იღებდნენ კომბაინების რემონტში და პრაქტიკულად გაეცნენ და შეისწავლეს მანქანის ნაწილები.

მტს-თან ჩამოყალიბებულია სალეწ მანქანაზე მომუშავეთა ერთთვიანი კურსები. კურსების მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. უახლოეს ხანში გამოშვებული იქნება მსმენელები. ამგვარად, სალეწი მანქანები უზრუნველყოფილი იქნებიან კადრებით ზოსავლის აღებისა და ლეწვისათვის.

კომბაინებისათვის გამოყოფილია საუკეთესო ტრაქტორები, რომლებიც ყოველმხრივ შეკეთებული და შემოწმებულია.

კომბაინერთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. კომბაინერმა მთიულაშვილმა, რომელმაც გეგმით 180 ჰექტარზე უნდა აიღოს მოსავალი, ვალდებულება იკისრა მოსავალი აიღოს 10_12 სამუშაო დღეში, ამუშაოს კომბაინი უავარიოდ, შეუფერხებლად და გეგმის ზეგით კოლმეურნეობებს აუღოს 50 ჰექტარი თავთავიანი კულტურები. მთიულაშვილმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია კომბაინერი სულეიმანაშვილი. სოცშეჯიბრება გაშლილია კომბაინერების თანაშემწეებს შორისაც.

ამასთან ერთად მტს-ის სახელოსნო კოლმეურნეობებს ურემონტებს მოსავლის ასაღებ ინვენტარს აწყობს მოძრავ სახელოსნოს, რომელიც მოსავლის აღების პერიოდში მოეფასხურება როგორც კომბაინებს, ისე კოლმეურნეობებს.

ვ. ინასარიძე

დაიწყო პარკის დამზადება

ყვარლის რაიონის მეაბრეშუმეებმა ნინო ხიზანიშვილმა, ნატო და ფიფო კუნელაძეებმა, თამარ ბერძენიშვილმა, გურამიშვილმა, რომლებიც აბრეშუმის ჭიას ქისტაურელ მეაბრეშუმე სტახანოველთა მეთოდით ჰკვებავდნენ, უზრუნველჰყვეს პარკის ახვევის მე-14 დღეზე დაწყება და 26 მაისს კოლოფ თესლზე ნაცვლად 45 კილოგრამისა სახელმწიფოს ჩაბარეს 64 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

ყვარლის რაიაბრეშუმის გამგე
ლასხიშვილი

მასობრივად დაიწყო პარკის ჩაბარება

გეგეჭკორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის სტახანოველი მეაბრეშუმე ქალები აქტიურად იბრძვიან აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლისათვის. სტახანოველი მეაბრეშუმე ელისაბედ თაფლაძე ქისტაურელთა მეთოდით უელიდა აბრეშუმის ჭიას, მოწყობილი ჰქონდა ფრანკლინის სისტემის ღუმელი და საჭიოთახში იცავდა სისუფთავეს. ყოველივე ამის შედეგად აბრეშუმის ჭიამ მე-24 დღეს დაიწყო პარკის ახვევა. თაფლაძემ 9 გრამ აბრეშუმის მურიდან 37,2 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი ჩაბარა პუნქტს. ასევე 24 დღეში დაამთავრა აბრეშუმის ჭიის კვება სტახანოველმა მეაბრეშუმემ ქსენია ხელაიამ. მან 9 გრამი ჭიიე მურიდან 38 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი ჩაბარა. კარგ შედეგს მიაღწია აგრეთვე სტახანოველმა მეაბრეშუმემ არეთა ხელაიამ, რომელმაც 7 გრამი მურიდან 29,4 კილოგრამი პარკი მიიღო.

გეგეჭკორის რაიაბრეშუმის პარკის მიმღებ პუნქტებში მასობრივად დაიწყო პარკის ჩაბარება.

ხ. ბართია

პოლონელ პატრიოტთა ყრილობაზე

8 ივნისს მოსკოვში გაიხსნა პოლონელ პატრიოტთა კავშირის პირველი ყრილობა. ყრილობის დელეგატები მოსკოვში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის ყველა კუთხიდან. მათ შორის არიან პოლონელი მუშები, გლეხები, ინტელიგენტები. ფრონტის ხაზი გადმოლახა და ყრილობაზე მოვიდა პოლონელი ქსიონძი, რომელიც პარტიზანულ რაზმში იბრძვის. დელეგატთა შორის არიან აგრეთვე ახალგაზრდა პოლონელები, რომლებიც ძალდატანებით მობილიზებული იყვნენ გერმანელების მიერ და რომლებიც წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდნენ.

დელეგატთა დიდი ჯგუფი მოვიდა ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონური დივიზიიდან, რომელიც ამჟამად სსრ კავშირის ტერიტორიაზე სდგება.

ყრილობის დარბაზში გამოკრულია სამი ლოზუნგი პოლონურ ენაზე: „გაუმარჯოს პოლონეთს“, „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს“, „გაუმარჯოს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის საბრძოლო კავშირს“.

ლოზუნგის ქვეშ—„გაუმარჯოს პოლონეთს“ წითელ-თეთრ ფონზე გამოხატულია პოლონური არწივი. ყვავილებშია პორტრეტი დიდი პოლონელი სახალხო ბელადისა, რომლის სახელსაც ატარებს პოლონური დივიზია, — ტადეუშ კოსტიუშკოსი.

ყრილობა მიმდინარეობს გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ნიშნით, იმ ლოზუნგით, რომ სსრ კავშირში მცხოვრები ყველა პოლონელი გაერთიანდეს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, იმ ლოზუნგით, რომ განმტკიცდეს და გაძლიერდეს საბჭოთა კავშირთან ძმობა.

ყრილობის პრეზიდიუმში არიან — ვანდა ვასილევსკაია, პოლონური დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ბერლინგი, დივიზიის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი სივიკკი, აკადემიკოსი პარნავი, პარტიზანი—ქსიონძი კუბში, ექიმი დრობნერი, პოლონეთის სეიმის ყოფილი დეპუტატი და პარტია „სტრონნიტცტვო ლიუდოვეს“ მოღვაწე პოლონეთში ანდეკი ვიტორი, ვარშაველი ტრამვაის მუშა კლოსი, ლოძის პროფკავშირული მოღვაწე ვიტაშევსკი, პუბლიცისტი სტეფანე ენდრიხოვსკი.

საანგარიშო მოხსენება კავშირის მოღვაწეობის შესახებ გააკეთა ვანდა ვასილევსკაიამ, რომელსაც უდიდესი ყურადღებით მოუსმინეს. მან მკაფიოდ დაასურათა პოლონელთა მდგომარეობა სსრ კავშირში პოლონეთის 1939 წლის სექტემბრის ტრაგიკული დღეების შემდეგ, როდესაც პოლონელი ხალხი თავისი მთავრობის მიერ გაცემული აღმოჩნდა, ხოლო პოლონელი ჯარისკაცი—თავისი სარდლობის მიერ მიტოვებული. მოახსენებელმა შეაფასა აგრეთვე შემდგომი ამბები, თვით იმ მომენტამდე, როდესაც საბჭოთა მთავრობა იძულებული გახდა გაეწყვიტა ურთიერთობა გენერალ სიკორსკის მთავრობასთან, რომელშიც პოლონური ემიგრაციის პროფაშისტურმა ელემენტებმა დადასტიეს.

დიდი აღელვებით მოისმინეს ყრილობის დელეგატებმა ვანდა ვასილევსკაიას მგზნებარე სიტყვები, როდესაც იგი ლაპარაკობდა იმ ისტორიულ მოვალეობაზე, რასაც აკისრებს ყოველ პოლონელ პატრიოტს თანამედროვე მომენტი იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა, რომელსაც ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხები ეწევიან თავისუფლების მოსისხლე მტერთან—ჰიტლერიზმთან. იგი სიამაყით ლაპარაკობდა ვარშავის სახელოვან დამცველებზე, გმირ პოლონელ მფრინავებზე, რომლებიც ინგლისელ და ამერიკელ მფრინავებთან ერთად ბომბავენ გერმანელ ყაჩაღებს. იმ პოლონელებზე, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ ტობრუკთან. მისმა სიტყვებმა ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონური დივიზიის შექმნის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე სდგება და რომელსაც საბჭოთა მთავრობამ მისცა ყოველივე, რაც მას ესაჭირობა, მთელი ყრილობის უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია. ვანდა ვასილევსკაიას მოხსენებაში გამოთქმულმა ღრმა მადლობამ საბჭოთა მთავრობისადმი, რომელმაც პოლონელ პატრიოტებს საშუალება მისცა იარაღით ხელში იბრძოლონ შმობლიური პოლონეთის გასათავისუფლებლად, მთელი ყრილობის სახარულოთ აღსავსე მოწონება გამოიწვია.

ყრილობის დელეგატებმა დიდი კმაყოფილებით მოისმინეს ვანდა ვასილევსკაიას მოხსენების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკი იყო იმ დიდ დახმარებაზე, რასაც უწევს სსრ კავშირში მყოფ პოლონელებს საბჭოთა მთავრობა, ახალ ღონისძიებებზე, რომლებიც მიიღო საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირში მყოფ პოლონელთათვის დახმარების საქმის გასაუმჯობესებლად.

პატაკით ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონური დივიზიის შესახებ გამოვიდა ამ დივიზიის მეთაური, პოლკოვნიკი ბერლინგი. მან შეჰფიცა ყრილობას და ყველა პოლონელთ, რომ დივიზია უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს პოლონელი ხალხისათვის საძულველი ჰიტლერელი ყაჩაღების წინააღმდეგ და ყველაზე უმოკლესი გზით, ალბაჭოთა მიწა-წყლიდან მიმავალი გზით შეეცდება გაიჭრას შმობლიურ მიწა-წყალზე. პოლკოვნიკმა ბერლინგმა სთქვა, რომ იგი ამაყობს იმით, რომ ტადეუშ კოსტიუშკოს სახელობის პოლონური დივიზია გმირი წითელი არმიის მხარდამხარ იბრძოლებს ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

დივიზიის მეთაურის მოადგილემ მაიორმა ვ. სოკორსკიმ გააკეთა მოხსენება პოლონელ პატრიოტთა კავშირის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. პოლონური დივიზიის ჯარისკაცები და ოფიცრები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კამთში, მზუხარებით ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ გენერალ ანდერსის პოლონურმა არმიამ უარი სთქვა ებრძოლნა გერმანელების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, და საზეიმო ვალდებულებას იღებდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აწარმოონ გმირი წითელი არმიის მხარდამხარ თავისი წმიდა და ბოროტებული სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ადგილებიდან მოსული დელეგატები ლაპარაკობდნენ სსრ კავშირის სხვადასხვა ნაწილში პოლონელთა შორის არსებულ კაშკაშა ყოფაზე, იმ ღრმა სიხარულზე, რაც გამოიწვია მათში პოლონური დივიზიის შექმნის ამბავმა.

ქსიონძმა კუბშმა ამაღელვებელი სიტყვა წარმოსთქვა პარტიზანთა ვმირული ბრძოლის შესახებ გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იმ ბრძოლის შესახებ, რომელშიც იქნება ხალხის ერთობა პოლონელთა დაუძინებელი მტრის — გერმანელების წინააღმდეგ, რომლებიც სასტიკად სდევნიან ყოველივე პოლონურს—ენას, რელიგიას, დიდ პოლონურ კულტურას.

ახალგაზრდა პოლონელებმა, გერმანიის არმიის ყოფილმა ჯარისკაცებმა, რომლებიც წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდნენ, უამბეს ყრილობის ყველა დელეგატებს იმ შემაძრწუნებელ გაპარტახებაზე, რასაც ჰიტლერელები პოლონეთში სჩადიან, და მოუწოდეს ყველა პოლონელს, ულმობელი შურისგებისაკენ პოლონელი ხალხის სისხლისა და ცრემლებისათვის.

პოლონური დივიზიის ოფიცერი მარიამ მიკა, რომელიც მსახურობდა 1939 წელს, პოლონეთის არმიაში და 1941 წელს, ანდერსის არმიაში, მგზნებარე სიტყვით გამოვიდა და დასასრულ სთქვა, რომ პოლონელი ჯარისკაცები მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როდესაც ისინი შეძლებენ შეებრძოლონ საძულველ დამპყრობლებს.

ყრილობაზე გამოდიან მეცნიერები, მწერლები, მასწავლებლები, მუშები და გლეხები.

ყველა სიტყვაში გაისმის უღრმესი სიძულვილი გერმანელი დამპონელებლებისადმი, რწმენა მშობლიური ხალხისადმი, ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის მალე გამარჯვების რწმენა, საბჭოთა კავშირის გმირი ხალხებისადმი, წითელი არმიისადმი ძმური სოლიდარობის გრძნობა.

ყრილობის საერთო განწყობილებაა მისწრაფება მოქმედებისა, ბრძოლისა და შრომისაკენ თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ყრილობის მუშაობა გრძელდება.

ახალგაზრდობის შეკრება ჭიათურაში

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). 1942 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა წარმატებითი მონაწილეობისათვის ჭიათურის რაიონს, მიეკუთვნა საქ. ალკა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის. განათლების სახალხო კომისარიატის, მიწსაბჭომისა და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა.

ამ დღეებში ჭიათურაში ჩატარდა რაიონის ახალგაზრდობის შეკრება, რომელიც მიეძღვნა დროშის გადაცემას. შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ცქიტიშვილი. მან დროშა გადასცა საქ. ალკა ჭიათურის რაიკომის მდივანს, მიულოცა რაიონის მოსწავლეებს მაღალი ჯილდო და უსურვა შემდეგში უფრო მეტი წარმატებანი.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: გ. დეკანოიძე, ს. მოდებაძე, ნ. კვიციანაძე, ვ. ბიწაძე, ვ. სამხარაძე, მ. გელაშვილი.

შეკრებაზე მოსწავლე ახალგაზრდობამ ვალდებულება აიღო წელს 300.000 შრომადღე გამოიმუშაონ. მათ უკვე გამომუშავებული აქვთ 90.000 შრომადღე.

ჯ. ჭიოკაძე

ლეპეშები

რუზველტის გამოსვლა

ვაშინგტონი, 10 ივნისი (საკდესი). საჭურველის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის საფუძველზე საბერძნეთის მთავრობისათვის საპატრულო ხომალდის გადაცემასთან დაკავშირებით, რუზველტმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც მადალი შეფასება მისცა იმ ბრძოლას, რასაც ბერძნები ეწევიან.

რუზველტის განცხადებით, ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ ბერძენთა გმირულმა ბრძოლამ ცხადყო, რომ შეუძლებელია ძალით დაიმორგუნოს ადამიანის მტკიცე მისწრაფება თავისუფლებისადმი და მზადყოფნა თვით სიცოცხლეც გასწიროს თავისუფლების გამარჯვებისათვის. „ფლეს, —სთქვა რუზველტმა — საბერძნეთი — განმანგალული ქვეყანა, ათასობით ათასიანი შიმშილით ეაიხოცა, ათასობით იხოცება. ფლეს საბერძნეთი იმ სიმინდით თესულა, ეს ერა ხორცით ღეჭილს სახელმწიფოებს თავს მოუხვიათ მთელი მსოფლიოსათვის. მაგრამ თავის საკუთარ ქვეყანაში და სხვა ქვეყნების სანაპიროებზე ბერძნები ბრძოლას განაგრძობენ, და მათ ვერასოდეს ვერ დამარცხებენ. დადგება დღე, როცა განთავისუფლებულ ბერძნებს კვლავ ეყოლებათ თავიანთი საკუთარი მთავრობა აკროპოლისა და პართენონის კალთებ ქვეშ“.

კუნძულ პანტელერიის გარნიზონმა კაპიტულაცია მოახდინა

ლონდონი, 11 ივნისი (საკდესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი გადმოგვცემს, რომ 8 ივნისს ღამით, 9 ივნისს ღამით და გუშინ დღისით მოკავშირეთა ავიაცია განაგრძობდა გაფთრებულ თავდასხმებს კუნძულ პანტელერიაზე. ამ თავდასხმების დროს საჰაერო ბრძოლებში მოსპობილ იქნა მტრის 37 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი მოსპობილ იქნა ტირენის ზღვაში. ყველა ამ ოპერაციიდან ბაზაში არ დაბრუნებულა მოკავშირეთა 6 თვითმფრინავი.

მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი სპეციალურ კომუნიკეში იუწყება, რომ კუნძულ პანტელერიის გარნიზონმა კაპიტულაცია მოახდინა.

ესპანელი ფაშისტები კიბღერელებს ეხმარებიან

ვაშინგტონი, 10 ივნისი (საკდესი). გაზეთმა „ს. ბ.“ გამოაქვეყნა მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც ნათქვამია, რომ ესპანეთი სხვადასხვა გზით ეხმარება ღერძის სახელმწიფოებს. გაზეთი სწერს, რომ ესპანეთის ხომალდები გერმანიის წყალქვეშა ნავებს ეხმარებიან ბოლ იოპერაციებში მოკავშირეთა სავაჭრო გემების წინააღმდეგ.

ესპანელი ფალანგისტები ლათინურ ამერიკაში პროპაგანდისტულ და ჯაშუშურ საქმიანობას ეწევიან, რაც ზიანს აყენებს გაერთიანებულ ერთა საომარ ღონისძიებებს. ათასობით ჰიტლერელ აგენტს უმნიშვნელოვანესი თანამდებობანი უკავიათ ესპანეთში და ესპანეთის მაროკოში და მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ესპანეთის არმიასთან და პოლიციასთან. ამერიკის ოფიციალური წრეების განცხადებით, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, ესპანეთთან ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ურთიერთობის დაცვას მიზნად აქვს ნაწილობრივ ესპანეთის ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, მაგრამ, სწერს გაზეთი, „ჩვენ საზღაურს ვიხდით ესპანეთის ნეიტრალიტეტისათვის, მას კი ვერ ვღებულობთ“.

გერმანიის სამრეწველო ცენზურების დაბომბვის შედეგი
ინგლისის ეკონომიური ომის მინისტრის განცხადება

ლონდონი, 11 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ეკონომიური ომის მინისტრმა ლორდმა სელბორნმა, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა ლონდონში, განაცხადა, რომ, არსებული ცნობებით, სამრეწველო წარმოება გერმანიაში დაახლოებით 15-20 პროცენტით შემცირდა შარშანდელთან შედარებით. ლორდ სელბორნის სიტყვით, ამ შემცირების სულ ცოტა 50 პროცენტი უნდა განვიხილოთ, როგორც მოკავშირეთა ავიაციის მოქმედების შედეგი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რურის ოლქის სამრეწველო წარმოება შემცირდა დაახლოებით 35 პროცენტით შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. დანარჩენი გერმანიის მრეწველობა კი დაახლოებით 10 პროცენტით შემცირდა.

„მე ვიმედოვნებ,—სთქვა ლორდმა სელბორნმა,—რომ რურის ოლქზე თავდასხმები წინანდებური ძალით გაგრძელდება მანამდე, სანამ გერმანელები საბოლოო ანგარიშით არ შეიგნებენ, რომ ამ რაიონში მრეწველობის შემდგომი მოშლაობა შეუძლებელია. რურის ოლქის მრეწველობის განადგურება იოლი ამოცანა როდია, ვინაიდან რურს ფრიად ძლიერი თავდაცვა მოეპოვება. მაგრამ ეს მრეწველობა დაუძლურებულ იქნება, ხოლო, როგორც გვახსოვს, გერმანელები ამ რამდენიმე ხნის წინათ თვითონ ამბობდნენ, რომ გერმანიის ბედი დამოკიდებულია რურის ბედზე“.

უცხოეთის ქრონიკა

კუნძულ გვადელუპაზე (კარაიბის ზღვაში არსებული საფრანგეთის სამფლობელო, რომელსაც ვიშის „მთავრობის“ გუბერნატორი ადმირალი რობერი განაგებს) მოხდა სახალხო მღელვარება და დემონსტრაციები რობერის პოლიტიკის წინააღმდეგ. უკანასკნელმა ბრძანება გასცა დაეპატიმრონ ალჟირიში შექმნილი საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ყველა მომხრე.

* * *

საფრანგეთში სამი წლის ბატონობის მანძილზე ჰიტლერელებმა 47.000 ფრანგი დახვრიტეს და 200.000 კაცი საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს.

ალჟირში ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოშვებულია თითქმის 5 მილიარდი დოლარის საჭურველი. ალჟირში ამერიკის შეერთებული შტატების საერთო სამხედრო ხარჯი 7 მილიარდ 290 მილიონ დოლარს შეადგენდა.

* * *

ჩილის კაბინეტი გადადგა. შედგენილია ახალი მთავრობა.

* * *

ჩინეთის ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ქალაქი იდუ ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში.

10 ივნისი. (საკდესი).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2843407, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომის მიერ იასონ მარკოზის-ძე **კვირიკაშვილის** სახელზე, პარტბილეთი № 2843509, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომის მიერ გრიშა ნესტორის-ძე **ლობჟანიძის** სახელზე, საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 2155316, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომის მიერ არონ იოსების-ძე **შიმშილაშვილის** სახელზე, და საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 3093422, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ონის რაიკომის მიერ გალინა ლევანის-ასულ **მეტრეველის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის საკანდიდატო ბარათი № 1684502, გაცემული ხალამბრე ალექსის-ძე **მოკაკაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

კინოებში

რუსთაველის სახ.—„ლედი ჰამილტონი“, **ოქტომბერი** — „ანტონა რიბაკინი“, **დამკვრელი** —„შავზღველები“, **კომკავშირელი** და **ლუქსემბურგის სახ.**—„ირანი“, **სპარტაკი** — „მეღორე“, „ცა“ და „ჯოჯოხეთი“, **26 კომ. სახ.** —„ჯაბუკი ჩვენი ქალაქიდან“ **მეცნიერება** და **ცოდნა**—„ხიდი“, **კომინტერნი**—„ზეცა“, **ორჯონიკიძის პარკი**—„საიდუმლო კუნძული“.

მწერალთა კავშირში

15 ივნისს, საღამოს 7 ს. და 30 წ., მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) ამხ. შალვა ნუცუბიძე წაიკითხავს თავისი პოემის „ამირანის“ რუსულ თარგმანს.

თეატრებში

სახოპერა—12 ივნისს — „ჩიო-ჩიო-სან“, 13 ივნისს — დღისით—„აბესალომ და ეთერი“, საღამოს—„ტრავიატა“. **რუსთაველის სახელობის**—12 ივნისს—„ბრუსილოვი“, 13 ივნისს — დღისით და საღამოს—„ბრუსილოვი“. **მარჯანიშვილის სახელობის** — 12 ივნისს—„ეკვით ავადმყოფი“, 13 ივნისს—დღისით—„ხანუმა“, საღამოს—„კოლმეურნის ქორწინება“. **მუსიკალური კომედიის** — 12 ივნისს—„ოქროს გასაღები“, 13 ივნისს—დღისით — „აყვავებული ბაღი“, საღამოს — ერთმოქმედებიანი პიესების საღამო. **სანკულტურის** — 12 ივნისს — „უნიადაგონი“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—12 ივნისს—„წითელქუდა“, 13 ივნისს—დღისით — „წითელქუდა“, საღამოს — „სურამის ციხე“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქართველოს კომუნალური ბანკი აცხადებს, იმ მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომლებიც იხდიან ბინის ქირას, კომუნალურ მომსახურებისათვის (ელექტროენერგია, წყალი) და ყველა სხვა სახის გადასახადებს, რომ მათი შეტანის გაადვილების მიზნით კომუნალური ბანკის საშემოსავლო სალაროებში ა. წ. 26 მაისიდან შემოღებულია შემდეგი წესი:

1. საქ. სსრ კომუნალური ბანკის საშემოსავლო სალაროები აწარმოებენ ყველა სახის გადასახადის მიღებას დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

2. საშემოსავლო სალაროები მუშაობენ ყოველდღე, გარდა სამშაბათისა, რომელიც დაწესებული გამოსასვლელ დღედ.

3. სამშაბათობით ყველა სახის, გადასახადები დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე, მიიღება საშემოსავლო სალარო № 21-ში, რომელიც მოთავსებულია საქ. სსრ კომბანკის შენობაში, ბერიას სახელობის მოედანი № 10.

საქ. სსრ კომბანკი.

მშობლები ეკატერინე, გიორგი, ცოლი ლილია, შვილები ვაჟა, მარინა, გივი ბებია ნუცა იუწყებიან
ოთარ გიორგის-ძე ქაჯანაძის
გარდაცვ. გამოსვ. 13/VI, 3 ს. ართვინის, 6.

ცოლი ნინო, ძმები გედეონ, ნიკოლოზ, რძლები მარიამ, ოლია იუწყებიან
დავით სერგოს-ძე ვახტანგოვის
გარდაცვალებას. პანაშვ. 12/VI, 7 ს. გამოსვ. 13/VI, 4 ს. გოგჩის, 25. 1365

ელისაბედ გუგუშვილი შვილებით, რძლებით და სიძით იუწყება ძმის
მიხეილ ანდრიას-ძე ალანიას
გარდაცვალებას. 1